თბილისის "დინამო" გათამაშების ლიდერი

17 მაისს მოსკოვში ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ამჯერად ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "კრილია სოვეტოვის" გუნდები.

ამ დღეს სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ისტორიაში მატჩი პირველად იქნა ტრანსლირებული ქართულ ენაზე.

თბილისის "დინამო" თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: სანაია, პეხელანიდი, კიკნაძე, ჭელიძე, სალდაძე, ბერძენიშვლი, ხარბედია, პანიუკოვი, პაიჭაძე, ბერეჟნოი და ანთაძე.

პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ – 0:0. თამაშის მეორე ნახევარში უპირატესობა თბილისელთა მხარეზე იყო. მე–10 წუთზე ანთაძემ ძლიერი დარტყმით პირველი ბურთი გაახვია მოსკოველთა ბადეში, მაგრამ 2 წუთის შემდეგ მოსკოველმა გარემარბმა საპასუხო ბურთი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა.

თბილისელები იერიშებს აძლიერებენ, მათ ბევრი სახიფათო მომენტი შექმნეს მოსკოველთა კარებთან, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენეს, ასე, მაგალითად, პირველი 20 წუთის განმავლობაში თბილისელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის 5 ნაღდი შესაძლებლობა.

შესანიშნავად თამაშობდნენ თბილისის დამცველები პეხლევანი, კიკნაძე, ჭელიძე და ბერძენიშვილი. ბოლო წუთებში მოსკოველები კონტრიერიშებზე გადადიან, მაგრამ უშედეგოდ, 38–ე წუთზე ხარბედიამ ბურთი მიაწოდა პანიუკოვს, რომელმაც კიდევ ერთით გაადიდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით –ანგარიშით 2:1.

ამრიგად, 5 კალენდარული მატჩის შემდეგ თბილისის "დინამოს" 10 შესაძლებლობიდან 10 ქულა აქვს და სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერი.

ახ. კომუნისტი 18 მაისი 1946 წ.